ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ვლადიმერ ძნელაძის

2018 წლის ანგარიში

2017 წლის ნოემბრიდან ვარ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საქმეთა კომისიის წევრი, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი, დიდუბის რაიონის მაჟორიტარი .

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

მე-6 მოწვევის საკრებულოს მუშაობის პერიოდში დღემდე ჩატარდა ბიუროს 28 სხდომა და საკრებულოს 29 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 127 დადგენილება და 397 განკარგულება. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 24 სხდომის მუშაობაში.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 16 კომისიის სხდომის მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომათა ოქმების გაფორმებას. კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 22 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.

შესწავლილი საკითხები:

- თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე მერი), მერის მოადგილეების, მერიის ადმინისტრაციის უფროსის, საქალაქო სამსახურის უფროსების, რაიონის გამგებლების თანამდებობებზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემასთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით.

- თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტი.

- თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ'' პროექტი.

- თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოცილური მომსახურების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ (#12-0318012172-03).

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ,, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

- თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის

განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების“ წლიური ანგარიშის შესახებ.

- თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

- თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

- თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

- თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

- თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანისშესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის ფორმატში დავესწარი 14 სხდომას, მონაწილეობა მივიღე 17 საკითხის განხილვაში:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ბადრი გიორგიძის დანიშვნის თაობაზე თანხმობს მიცემის შესახებ.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურების შერწყმა; (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების ცვლილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულება და საშტატო ნუსხა).

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობების ტიპური დებულება და საშტატო ნუსხა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის განხილვა

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დაფუძნების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების თაობაზე.

- ქ. თბილისისი მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცებისთაობაზე.

ა) ქ. თბილისისი მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურის ღონისძიებები“ (08.05), „შემოქმედებითი თბილისი“ (08.09) დ „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (08.13) განხორციელების წესები.
ბ) ქ. თბილისისი მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა“ (07.04) ქვეპროგრამების: „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროქტების ხელშეწყობა“ (07.02.01), „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“ (07.05.01), „სპორტული ღონისძიებები“ (08.06.01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (08.08.01) განხორციელების წესი.
გ) ქალაქ თბილისის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა (07.05.03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალური

დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხები.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - ,,კულტურული ღონისძიებები''- ფარგლებში კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ალექსანდრე ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

- სსიპ ქალაქ თბილისის 106-ე საჯარო სკოლისთვის ზურა იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე.

- ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2018 წლის 9 თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი და მონაწილეობა მივიღე ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ 15 სხდომასა და ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 13 სხდომის მუშობაში.

ფრაქციის სხდომების ფორმატში გავეცანი თბილისის საკრებულოს წევრებისა და მერიის ხელმძღვანელობის ანგარიშებს გაწეული საქმიანობისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის გზების შესახებ. მათ შორის გამოვყოფდი:

- თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები (მომხსენებელი კ. კალაძე)
- თბილისის სამგორის რაიონის ელექტრონული რუკის პრეზენტაციას (მომხსენებელი გ. ტყემალაძე)
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია (მომხსენებლი ა. ლაშხი)
- თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის მიმოხილვა (მომხსენებელი მ. ბითაძე)
- ქ. თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის სამომავლო გეგმა (მომხსენებელი ი. ხმალაძე)
- თბილისის მუნიციპალიტეტის მეტროპოლიტენის თანამშრომლებთან მათი ხელფასების მატების საკითხის განხილვა 2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას (მომხსენებელი ი. ხმალაძე)
- „IRI“-ს კვლევების პრეზენტაცია;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობის ანგარიში.

- თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის შესახებ;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიში;

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის წევრები სისტემატურად ვხვდებოდით მოქალაქეებს, ვეცნობოდით მათ პრობლემებს და უფლებამოსილების ფარგლებში ვუწევდით დახმარებას.

ინფორმაცია დიდუბის რაიონის წარმომადგენლობის მუშაობის შესახებ

დიდუბის რაიონის მაჟორიტარის სამაჟორიტარო ოლქი მოიცავს დიდუბის რაიონსა და ჩუღურეთის რაიონის მცირე ნაწილს (შალიბაშვილის ხიდიდან - მარჯანიშვილის მეტრომდე).

სამაჟორიტარო ბიუროს საქმიანობის სფეროები განისაზღვრება შემდეგი მიმართულებებით: ჯანდაცვა, სოციალური სფერო, ინფრასტრუქტურა, განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და საზოგადოებრივი საქმიანობა.

საკრებულოს დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობაში მოქალაქეთა მიღება მიმდინარეობს ყოველდღიურად. ასევე, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, კვირის სამუშაო დღეებში შეხვდეს მაჟორიტარ წევრს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

ყოველ ოთხშაბათს პირადად ვაწარმოებდი მოქალაქეთა მიღებას, ვეცნობოდი არსებულ პრობლემებს, ხდებოდა მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამისი სტრუქტურებისათვის გადაგზავნა შემდგომი რეაგირებისთვის. ასევე, პრობლემების გადაწყვეტას ვახდენდით კანონმდებლობის საფუძველზე, უწყებების ხელმძღვანელ პირებთან პირადი შეტყობინების საშუალებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამაჟორიტარო ბიურომ მიიღო და კონსულტაცია გაუწია 500-მდე მოქალაქეს, აქედან შუამდგომლობა გაეწია 200-ზე მეტ მოქალაქეს. რაიონში მიმდინარე პროექტების განხორციელების მონიტორინგის

პერიოდში სამუშაოების განხორციელების ადგილზე შეხვედრა გვქონდა 800-მდე მოქალაქესთან. აღსანიშნავია უწყებათაშორის თანამშრომლობა და მხარდაჭერა, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფო, თუ კერძო სტრუქტურები იჩენდნენ მთელი ამ პერიოდის მანძილზე. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, დიდუბისა და ჩუღურეთის რაიონის გამგეობების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის, თბილისის საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოს, თბილისის განვითარების ფონდის, ფეხბურთის ფედერაციის, შპს ყაზტრანსგაზის, შპს საქართველოს რკინიგზისა და სს „თელასის“ ჩართულობა მოსახლეობაზე ორიენტირებული საჭიროებების მოგვარების პროცესში.

- **ჯანდაცვა და სოციალური სფერო**

ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით დიდუბის სამაჟორიტარო წარმომადგენლობის მხრიდან დაყენებული იქნა 110 შუამდგომლობა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამებით გათვალიწინებული წესის შესაბამისად.

ჩვენი სამაჟორიტარო წარმომადგენლობა უზრუნველყოფდა იმ მოქალაქეთა სრულ მხარდაჭრას, რომლებიც მოგვმართავდნენ სამედიცინო და სოციალური საჭიროებების მოგვარების მიზნით.

საკითხების მოგვარების პროცესში ჩვენი პარტნიორები არიან: დიდუბის რაიონის გამგეობა, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

- **სოციალური აქტივობები**

წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს ყველა საჯარო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომლის პრიორიტეტი მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაა.

ჩვენი უფლებამოსილების ფარგლებში ვთანამშრომლობთ და პარტნიორობას ვუწევთ საქველმოქმედო ფონდს „მომავლისთვის“. ჩვენი მხრიდან დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ, შეჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახებს.

წარმომადგენლობის ორგანიზებითა და კლინიკა „ვივამედის“ თანამშრომლობით ბაგა-ბაღების თანამშრომლებისთვის ჩატარდა უფასო

გამოკვლევები. აქციაში ჩართული იყო 120-მდე ბაღის თანამშრომელი, რომელთაც შეძლეს მიეღოთ მრავალმხრივი სამედიცინო სერვისი პროფესიონალი ექიმებისაგან.

ჩვენს რაიონში ფუნქციონირებს ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“, რომლის გაერთიანების ქვეშ მუშაობს სამი სხვადასხვა მიმართულების ბავშვთა ცენტრი: ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვთა კრიზისული სადღეღამისო ცენტრი „ბეღურები“, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ცენტრი „იმედი“ და სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრი „ცისარტყელა“. დიდუბის წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ,,GWP“-ის დახმარებით ორგანიზაციები გათავისუფლებულები არიან წყლის გადასახადისგან. საერთო ჯამში, ორგანიზაცია ზოგავს 18 000 ლ. ორგანიზაციის ბენეფიციარები არიან შშმ პირები, ქუჩაში მცხოვრები, შეჭირვებული და სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ თანადგომას სახელმწიფო სექტორისგან. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არის საკითხი, რომლის გადაჭრაც ვერ ხერხდება ჩვენი ჩართულობის შედეგად. წარმომადგენლობის პარტნიორი ორგანიზაციაა, ასევე, „პირველი ნაბიჯი საქართველო“, რომლის ბენეფიციარი სპეციალური საჭიროების მქონე 400 ბავშვია. წარმომადგენლობა აქტიურად იყო ჩართული „აუტიზმის მსოფლიო კვირეულის“ ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში, ასევე გამწვანების აქციაში, რომლის ფარგლებში ორგანიზაციის ეზოში 20-მდე კავკასიური ფიჭვის ხე დაირგო.

- **ინფრასტრუქტურული სფერო**

ინფრასტრუქტურული საკითხების გადაჭრის უმთავრეს პირობას საბიუჯეტო სახსრების სწორად დაგეგმვა და დაგეგმილი სამუშაოების დროულად და მიზანმიმართულად შესრულება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ დიდუბის რაიონის გამგეობაში ბიუჯეტით განსაზღვრული ყველა პროექტი ხორციელდება მაჟორიტარისა და რაიონის გამგებლების კოორდინირებული მუშაობის შედეგად.

ჩვენი შუამდგომლობით განხორციელდა სკვერების კეთილმოწყობა ორ მისამართზე - წერეთლის №10 და აგლაძის №38. მოასფალტების სამუშაოები 15 მისამართზე. წერეთლის №2 კორპუსთან მოეწყო ბავშვთა გასართობი ზონა. მოსახლეობა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს დედაქალაქის მერის კახა კალაძის ინიციატივას „სკვერები ავტოფარეხების ნაცვლად“ და წლის ბოლოსთვის გვექნება სამი ახალი სკვერი შემდეგ მისამართებზე: წერეთლის №93, წერეთლის №101, წერეთლის №97. წარმომადგენლობის ჩართულობით ბათუმის ქ. № 9 ავტოფარეხების თავზე გაკეთდა ახალი სტადიონი.

- **განათლება, სკოლა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები**

მოგეხსენებათ, რომ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი გამოწვევაა არასაკმარისი ბაგა-ბაღების რაოდენობა. დიდუბის რაიონში სექტემბრის თვეში გაიხსნა N38 ბაგა-ბაღი, რომელმაც მნიშვნელოვნად განტვირთა ბაღზე ხელმისწავდომობის პრობლემა რაიონის ცენტრალურ ნაწილში. მუნიციპლაიტიტეტის და განათლების სამინისტროს ერთობლივი წარმატებული მუშაობისა და კოორდინაციის შედეგად სექტემბერში დასრულდა მე-100-ე საჯარო სკოლა, რომლის რეაბილიტაციის საკითხი წლების მანძილზე აწუხებდა რაიონს.

- **სპორტი**

მინდა აღვნიშნო, რომ წარმატებით ახორციელებს თავის საქმიანობას ჩვენი ინიციატივით შექმნილი საფეხბურთო კლუბი ,,დიდუბე 2014“. ამ ეტაპზე საფეხბურთო კლუბში 150 ბავშვი ირიცხება. კლუბში მოთამაშე ყველა ბავშვისთვის სწავლება და მომზადება არის უფასო, მათი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ბავშვებისთვის უზრუნველყოფილია თამაშისთვის აუცილებელი აღჭურვილობა: ფორმები, ბურთები.

მიმდინარე წლის მონაცემებით სხვადასხვა შეჯიბრებებში გუნდი ქვეყნის მასშტაბით მოწინავე ადგილს იკავებს. დიდუბის რაიონის სამაჟორიტარო ბიუროს ინიციატივითა და გამგეობის მხარდაჭერით, ასევე კერძო სექტორის დახმარებით ხორციელდება გასვლითი შეკრებებიც. საფეხბურთო გუნდის “დიდუბე 2014“ მოთამაშესთან ცოტნე მიქავასთან საფეხბურთო კლუბმა “ტყიბული“, ხელფასიანი კონტრაქტი გააფორმა და ჩვენი ყოფილი ფეხბურთელი ახლა „პრო 3“ ლიგაში თამაშობს. კიდევ ერთი მოთამაშე, გუგა ხვიჩია კი დინამო თბილისის აკადემიაში ირიცხება.

მწვრთნელებთან ერთად მუდმივად ვინტერესდებით „დიდუბე 2014“-ში ჩარიცხული ბავშვების აკადემიური მოსწრებითა და გაკვეთილებზე სისტემატური დასწრებით. გუნდში თამაშის ერთ-ერთი წინაპირობაა კარგი აკადემიური მოსწრებისა და საშუალო ქულებზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლიდან. აღსანიშნავია, რომ გუნდის დამფუძნებლებმა და მწვრთნელებმა შეძლეს ბავშვებისთვის მაღალი მოტივაციის გაჩენა. რეზულტატი გვიჩვენებს, რომ

აუცილებელია დაიგეგმოს და განხორციელდეს აქტივობები, რომელიც მიმართული იქნება მოზარდების საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

- **ახლგაზრდული მიმართულებები**

დიდუბის რაიონის წარმომადგენლობა აქტიურად იყო ჩართული კინოფესტივალის ,,CinéDOC-Tbilisi“ ღონისძიებებში. დიდუბის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის ფესტივალის ფარგლებში მოეწყო დოკუმენტური კინოჩვენებები, რის შემდგომაც ბავშვები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ფილმების განხილვებში და ხვდებოდნენ უცხოელ კინორეჟისორებს. ასევე, კინოჩვენებების ფარგლებში დაგეგმილი იყო სხვადასხვა სპორტული აქტივობა ახალგაზრდების მონაწილეობით.